ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 120
სამშაბათი, 9 ივნისი, 1898 წ.

1877—1898

# ივერია

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაგარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

№ 120
სამშაბათი, 9 ივნისი, 1898 წ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

იბეჭდება და 15 თიბათვისათვის მზად იქნება გასასყიდად ახალი წიგნი:

თ. ილია ჭავჭავაძე

ბიოგრაფიული და კრიტიკული ეტიუდი.
წერილი პირველი
მეგახლავარ-ისა.

წიგნი ღირება 20 კაპ. წიგნების მაღაზიის პატრონებს ვთხოვთ, ეხლავე შეგვატყობინონ, რამდენის ცალის დაბარება ჰსურთ. ნაღდ ფულად წიგნი დაეთმობათ 12 კაპეიკად, კომისიით დაეთმობათ 20%. წინადვე დაბარება იმისთვის იქნება საჭირო, რომ ავტორი 20 თიბათვეს ტფილისიდგან გავა სოფლად.

ადრესი: „ივერიის“ რედაქცია. გარდაეცეს ბ-ნს მეგახლავარს.
(10—უ.—5)

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ისყიდება ახალი წიგნი

ლექსები

თხზულ. განდეგილისა, ავტორის სურათით. ფასი ათი შაური (გაგზავნით თერთმეტი შაური). ვინც ათ ცალს დაიბარებს, წიგნი ცხრა შაურად დაეთმობა, ოცდა ხუთ ცალზედ მეტი—ორ აბაზად. (5—2)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
ჟუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

გ. მ ჩაქოგანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. ა. ი. რუდენკო. 10½—11½ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუცრის.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 11½—12 ს. ქალთა სენით და ბავშვები ავადმყოფებს.

ი. თ. შრატასჯვიჩი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულით ავადმყოფებს.

ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. 1½—2½ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

გ. მ. მახვილაძე.—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ბ. ა. ნავასარდიანი—6½—7 საათ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპია), ვენერიულ და კანის სნეულებას.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.
Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардiана*.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.
(წ)

ვკისრულობ

ტაქსაციას და დაფასებას ტყეებისა, დაფასებას სოფლის მამულის წარმოებისა,
პლანების აღებას და ნიველიროვკას.
ალექსანდრე გრიგორის ძე სნეჟკოვი. ლაბორატორიის ქუჩა, სახლი № 26.
ტელეფონი № 567.
(50—80—30).

### მთავრობის განკარგულებანი

ებოძათ პოდპორუჩიკობა დაღესტნის ცხენოსანთა რაზმის კორნეტს თავ. თარხან-მოურავს.

დათხოვნილ იქმნა თავისსავე თხოვნით სამსახურიდგან ტფილისის გუბერნიისა და ზაქათალის ოლქის სახელმწიფო მამულების გამგეობის საგანგებო საქმეთა მოხელე, კოლეჟსკი სოვეტნიკი კანჩელი.

◆

## ახალი ამბავი

⁂ კავკასიის მთავარ-მართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი 14 ივნისს კავკასიის სამხედრო გზით გაემგზავრება კავკავს, საიდგანაც წავა ესსენტუკში.

⁂ კვირას, 7 თიბათვეს, იყო გაგრძელება „შუამავალი“-ს ამხანაგობის საზოგადო კრებისა. კრებას უნდა აღმოერჩია თავმჯდომარე დ. გ. კარიჭაშვილის ნაცვლად ® ორიც კანტროლის წევრის მოადგილე. კრებას დაესწრო ფრიად მცირე რიცხვი ამხანაგებისა ® ამისათვის კრებამ დაადგინა: მოწვეულ იქმნას ამ შემოდგომაზედ საგანგებო საზოგადო კრება, რომელმაც უნდა აღმოირჩიოს თავმჯდომარე კანტროლისა და სანამ-კი კანტროლის თავმჯდომარეობა დავალებული ექმნება ერთ-ერთ წევრს კანტროლისას. მოადგილეებად არჩეულ იქმნენ ერთხმად: ალექსანდრე პავლეს ძე არღაზიანი და დიმიტრი პეტრეს ძე ეპიტაშვილი.

⁂ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებული ბ ნი ი. ს. მედვედიევი, ბ ნი ვ. ნ. გეევსკი და ბ-ნი ნ. პ. ტარატინოვი 6 ივნისს წავიდნენ ტფილისიდგან ყარაიაზში და იქ უნდა გასინჯონ ბუხარიდგან მოსაშენებლად მოყვანილი ცხვრები.

⁂ კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება ამ დღეებში გაანაწილებს წარსულ წლის მოუსავლობით დაზარალებულთა შორის იმ 3,000 მან., რომელიც საზოგადოებამ კერძო საეკონომიო საზოგადოებისაგან მიიღო დაზარალებულთა დასახმარებლად.

⁂ გამოვიდა გასასყიდად მეტად საყურადღებო წიგნი ი. ს. გოგებაშვილისა რუსულს ენაზე „Къ вопросу о поднятiи уровня образованiя среди грузинскаго дворянства“. ამ წიგნის წმინდა შემოსავალი გადადებულია საქართველოში და რუსეთში მოუსავლობისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ.

⁂ ამიერ კავკასიის დედათა ინსტიტუტში მოსწავლეთა სწავლის დამთავრებისა გამო განთავისუფლდა [illegible] რსებულ იქმნა ერთიც იმპერატორის ნიკოლოოზ I სახელობაზედ. კენჭის უყრელად სახელმწიფო ხარჯზედ მიღებულ იქმნა ობოლი ელენე ტატიშვილისა და შემდეგ, 4 ივნისს, ჩამოეტარათ კენჭი მთხოვნელთ და მიღებულ იქმნენ: ბარბარე ნათიშვი-

## ფელეტონი

⁂

დასცინიან მგოსანს, მისს ჩანგს,
ამდენის ხნის მდუმარებას
და უთვლიან ცბიერებად
თავისებურს მწუხარებას...

—

გაიცინონ!.. რა იციან
რისათვის სდუმს ჩანგი, არ ჟღერს
და მგოსანი ჩვეულებრივ—
არ უგალობს თვისს მშობელს ერს?

—

რა იციან, რომ დუმილსა
მგოსნის ჩანგის ციურ ხმათა
საიდუმლო წესი უძლვის
ძალ-შემოსილ თავდებათა?

—

რა იციან, თუ მგოსანი
რას ჰფიქრობს და რას იგონებს,
მაგრამ მონა დროთა ბრუნვის
თვისს მოძლვრებას ვერ გვაგონებს:

—

რასაცა ჰგრძნობს, მას ვერ ჰგალობს,
სხვის კილოზე ის არ მღერის;
სულ-მნათობი ფრთხილი არის,
ვით მოძღვარი თავის ერის;

—

როს მდუმარებს, მაინც გულში
საღმრთო ცეცხლსა აძლიერებს,
არჩევს დროსა—და რა ჰნახავს—
სიმებს ტკბილად ააჟღერებს;

—

სულს ამაღლებს, გრძნობათ განსწმედს,
გულს გაუღებს შვების კარებს,
უგნურებას წყევლით დაჰგმობს,
ნეტარებას დაამყარებს;

—

განათლებას, გამარჯვებას,
შრომას, ცოდნას, მტკიცე ძმობას
შეათვისებს გალობით ერს,
განუმტკიცებს მაღალს გრძნობას...

—

როს მოკვდება, ჩანგს თავისს ერს
უანდერძებს, ჩააბარებს
და ის ჩანგი უკვდავ ჟღერით
მკვდართან კავშირს დაამყარებს...

—

იცინიან?!.—ვერ დასცინვენ
მოძღვრის ღვაწლს და მდუმარებას,
ვერ შებღალვენ უმეცარნი
მისს ნაღვლიანს მწუხარებას!..

გრ. აბაშიძე

◆

### ყ ა რ ა.

(ერთი ამბავი ლეკებთან ბრძოლისა *)

### I

ამ საუკუნის მეოცდა ათე წლებში ერთ კლდიან მაღალ მთის დაკიდულ კალთაზედ მდებარეობდა პატარა სოფელი, რომლის სიპის ქვით აგებული სათოფურეებით სახლები და ციხე-კოშკები 30—40 არ აღემატებოდა რიცხვით. სოფელს წინა და უკანა მხრივ ჩაუდიოდა თვალ-ჩაუწდომელი ღრეები. ერთ ალაგას უკანა ღრე ისეთი ვიწრო იყო, რომ მცხოვრებლებს გაეკეთებინათ ხიდი, რომლის გაღმა იწყობოდა დაბურული ურღანჭალა ტყე და უზარ-მაზარი მთები. სოფელს ჩამოუდიოდა ხუთი წყარო, რომელნიც ჩხრიალით მიექანებოდნენ უმთავრესის ხევისაკენ. ამ ადგილს ეძახდნენ „ეშმაკის ხევ“-ს და სოფელს, რომლის მცხოვრებნი იყვნენ ხევსურები,—„მიუდგომელ“-ს.

სოფელი მართლაც მიუდგომელი იყო. მისი აღება არავითარის იარაღით არ შეიძლებოდა. ზარბაზნების ატანა იმ სიმაღლეზედ შეუძლებელი იყო და რაც შეეხება ხიდს, მისი მოშლა სულ ათის წუთის საქმე იყო. ხიდის მოშლით მტერს უნდა დაეკარგა ყოველივე იმედი სოფლის აღებისა. სოფლის მიუდგომლობით იგერებდნენ ხევსურები მიუძინებელ მტერს ქისტებს, რომელთანაც მუდმივი ბრძოლა ჰქონდათ.

მთელ სოფელში ოთხმოცამდე მამაკაცი იქნებოდა. მათ შორის სახელოვანი იყო მამასახლისი—კოჭლი დავითი, კაცი გონიერი, და ვაჟკაცობით სახელ-განთქმული მთელს ხევსურეთში. ლეკებთან ერთს ბრძოლაში დავითმა მიიღო მძიმე ჭრილობა, რომლის გამო იგი დაკოჭლდა და ამის შემდეგ „კოჭლ დავით“-ს უწოდებდნენ თანამოძმეები. დავითის სახლის ერთ კუთხეში ინახებოდა დროშა, რომელზედაც წარწერა შემდეგს აუწყებდა: „ნუ დაგვიხვდები წინ, თუ სიცოცხლე არ მოგბეზრებია“. ეს დროშა უძღვებოდა ხევსურებს წინ ყოველს ლაშქრობაში და სადაც გაჩნდებოდა, ღვთის რისხვას სცემდა მტერს.

დავითსა ჰყავდა ორი მოზრდილი ვაჟი და ერთი თექვსმეტის წლის ქალი ყარა (ასე ეძახდნენ დავითის ქალს). მშვენიერის შეხედულობისა იყო და ამასთან უშიშარი ქალი. არა ერთხელ და ორჯერ მიუღია მას მონაწილეობა მამასთან ერთად ბრძოლაში ლეკებსა და ქისტებთან. ყარას ერთს ბრძოლაში მოუკლეს დანიშნული და მას შემდეგ მან შეჰფიცა შური ეძია მთელს თავისს სიცოცხლეში. ვინ არ იცნობდა გულად ყარას? რომელი ჭაბუკი ხევსური არა სცდილობდა მოეგო ამ ქალის გმირი გული, ცოლად შეერთო და მით გაებედნიერებინა თავის თავი! მაგრამ ყარა არავის არა ნდომულობდა. სიცოცხლეში მას შერჩენოდა მხოლოდ ერთი—შურისძიება. სოფლის გარედ ვაჟკაცის ტანისამოსში, იარაღში ჩამჯდარს, არ ეშინოდა არაფრისა. ბევრჯერ დასცემიან სამი-ოთხი ქისტი, ან ლეკი, მაგრამ ვერაფერს ვერ აკლებდნენ, გამარჯვებული გამოდიოდა. დადიოდა ყარა მარტოკა მთებში და ბევრჯელ მთელ კვირას ატარებდა მტრის ძებნაში!..

—დროა, ყარა, შენის თავისათვის იფიქრო, ეტყოდა ხოლმე მამა, დროა ქმარი შეირთო.

—არ მინდა ქმარი, ვერ ვიპოვნი იმისთანას, როგორიც იყო განსვენებული, ნაღვლიანად უპასუხებდა ხოლმე ყარა.

მამაც ამით სჯერდებოდა და არ ატანდა ძალას.

ყარა ერიდებოდა ხალხს, ეძებდა მარტოობას. მისი საყვარელი ალაგი იყო სასაფლაო, რომელიც ხევში იმყოფებოდა და სადაც დამარხული იყო ის, რომლისთვისაც იტანჯებოდა. თოფითა და ხანჯალ ხმლით—ამ ერთგულ მეგობრებით, იგი მარტო ატარებდა დროს საყვარლის საფლავთან, საიდგანაც დიდის სიამოვნებით ყურს უგდებდა ძირს ხევის უფსკრულში მოღრიალე მდინარეს, რომელიც გაშმაგებული, ქაფად ქცეული ჰხტოდა დიდრონს ქვებზედ და, როგორც დაჭრილი მხეცი, ხან ერთ კიდეს ეცემოდა, ხან მეორეს, თითქო უნდოდა გაერღვია და მით მოეპოვა ახალი, უფრო მშვიდობიანი

---

*) იხ. „Историческiй Вѣст.“, 1897 წ.—ანტონოვისა.

ლი, სოფიო სიმონოვიჩი, ეკატერინე ლაფეროვი და ვიქტორია დუბოვი.

⁂ თელავისა და სიღნაღის მაზრის მცხოვრებთა ორის უკანასკნელ წლის მოუსავლობით დაზარალებისა გამო მთავარ მართებელმა თავ. გ. ს. გოლიცინმა ხსენებულ მაზრების მცხოვრებელნი განთავისუფლა თიანეთ-ანანურის გზაზედ მუშაობისა და საერთოდ ამ მაზრების საზღვრებს იქით სამუშაოდ გაყვანისაგან.

⁂ 24 ივლისს ტფილისის ოლქის სასამართლო გაარჩევს ქუთაისის მაზრის მცხოვრების გიორგი ფხაკაძის და გორის მაზრის მცხოვრების სამსონ მაღალაშვილის საქმეს, რომელთაც ჰბრალდებათ, რომ 10 იანვარს იარაღით ხელში დაეცნენ სულხანოვის დუქანს ავჭალის ქუჩაზედ და, გარდა ამისა, მოჰკლეს ჟანდარმის ოზეროვის ცოლი.

⁂ ხელოსანთა ამქრების დეპუტატთა კრებამ აირჩია სარევიზიო კომისია ადგილობრივ სახელოსნო გამგეობის სარევიზიოდ და იმის გამოსარკვევად, თუ რა ჩააბარა და რა არ ჩააბარა ხელოსანთა მოურავად ნამყოფმა თავისს მოადგილეს.

⁂ ამ ბოლო დროს საქონლის ჭირი გაჩნდა გორის მაზრის სოფელ ქვახრელში. ერთის კვირის განმავლობაში ავად გახდა 30 საქონელი. ბეითლებმა 22 დაჰხოცეს და სასყიდელი გარდაუხადეს პატრონებს.

⁂ ამ დღეებში ტფილისის ქალაქის გამგეობამ ბელგიის უსახელო საზოგადოების დირექტორის რობის თანასწრებით გაიხილა თვით რობის მიერვე წარდგენილი პროექტი იმის შესახებ, რომ ტფილისის ცხენის რკინის გზა იჯარით ისევ ზემოხსენებულ საზოგადოებას მიეცესო. მოლაპარაკებაზედ გამოირკვა შემდეგი:

ბელგიის უსახელო საზოგადოება მოვალეა 2 წლის განმავლობაში შემოიღოს ელექტრონის ძალით სიარული მატარებლებისა და გასაყვანად განზრახულ შტოებზედ-კი 3 წლის განმავლობაში; ფასი დარჩენილ იქმნება ძველი და თვით-მმართველობის მოხელეთ მიეცემათ 150 უფასო ბილეთი. ამის გარდა, საზოგადოებამ ქალაქს უნდა აძლიოს მუდამ წელს მოგებიდგან 5%. 10 წლის შემდეგ იმ დღიდგან დაწყებული, როდესაც ელექტრონი იქმნება შემოღებული, ქალაქის გამგეობას შეუძლიან გამოისყიდოს მთლად რკინის გზა.

⁂ ამ დღეებში ვიღამაც ბოროტ განზრახვით დასჭრა გუდაუთის ნაწილის უფროსი პორუჩიკი ვ. ჩიქოვანი. დაჭრილი საწამლებლად გაგზავნილ იქმნა სოხუმის საავადმყოფოში და მკურნალების აზრით ჭრილობა საშიშარი არ აღმოჩნდა. მკურნალთ განიზრახეს ტყვიის ამოღება, მაგრამ ვერ მიაგნეს. ავადმყოფი ძლიერ კარგადა ჰგრძნობს თავს. ბოროტ მომქმედი ჯერაც ვერ აღმოუჩენიათ.

⁂ ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მამულების კერძო საერობო და სხვა საჭირო გარდასახადის ანგარიშის პროექტით 1898 წლიდგან სამის წლის ვადით აღრიცხულია: ა) სამუდამო გარდასახადი: 1) სათავად აზნაურო სადეპუტატო კანცელარიების შესანახად: ტფილისისა—1,815 მან. და ქუთაისისა—2,060 მან. წელიწადში; 2) ტფილისის გუბერნიისა და მაზრების წინამძღოლთა კანცელარიებისა წელიწადში—1,750 მან.; 3) დეპუტატთა საკრებულოს მოსათავსებელ სახლისა და მოსამსახურეთა დაქირავებისა და სხვა ხარჯისათვის წელიწადში ტფილისის გუბერნიისათვის—1,400 მან. და ქუთაისისათვის—950 მან.; 4) დეპუტატთა საკრებულოს კანცელარიის მოხელეთა და მათ სახლობათა პენსიისათვის ქუთაისის გუბერნიისა—194 მან. 36 კ.; ბ) დროებითი გარდასახადი: 1) დარჩენილი საგუბერნიო და სამაზრო წინამძღოლთა კანცელარიების შესანახად: ტფილისისა—1,422 მან. 22 კაპ. და ქუთაისისა—302 მან. 61 კ., 2) ტფილისის გუბერნიის დეპუტატთა საკრებულო დარბაზის მომართვა მოსაწყობად—700 მან.; 3) დასაბრუნებელი, რომელიც გაიცა ტფილისის გუბერნიის სათავად-აზნაურო დაწესებულებების შესანახად—666 მან. 67 კაპ. და 4) სათადარიგო: ტფილისის გუბერნიისა—232 მან. 61 კაპ. და ქუთაისისა—105 მან. 21 კაპ. საერთოდ აღრიცხულია—11,598 მან. და 68 კაპ.

⁂ ქუთაისის სასოფლო სამეურნეო სკოლაში ეგზამენები იქმნება 25 ივნისამდე და ამ დღემდე მიიღება თხოვნები ამ სასწავლებელში შესვლის მსურველთაგან.

⁂ გაზ. „ახ. მიმ.“ დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდგან, რომ წარმომადგენლობის კანონი ტფილისისა და ქუთაისის ბანკში შემოღებულ იქმნება შემოდგომაზედაო.

⁂ იმავე გაზეთს სწერენ, რომ ყვირილის ხაზინის ხაზინადარი ნიკოლოოზ ჟორჟოლიანი, რომელმაც 70,000 მან. გაიტაცა თავისსავე რწმუნებულ ხაზინიდგან და მიიმალა, უკვე დაპატიმრებულ იქმნა გემ „ლლოიდაზედ“ ტრაპიზონში რუსეთის ელჩის მიერო. დაპატიმრებულს თან აღმოაჩნდა მხოლოდ 30,000 მანეთიო.

⁂ ქუთაისიდგან სწერენ გაზ. „ახ. მიმ.“, რომ ბელგიის უსახელო საზოგადოებამ შუამდგომლობა დაიწყო ადგილობრივ მთავრობის წინაშე, რომ ნება მოგვეცით ნავთის წარმოებას მოვკიდოთ ხელიო.

⁂ გაზ. „კვალი“ სწერს: დაარსდა წიგნების გამომცემელი ახალი ამხანაგობა, სახელად „შრომა“. ეს ამხანაგობა პაიზედ არის აგებული. სულ ორასი პაი იქმნება გამოცემული. პაის პატრონს მიეცემა სურვილისამებრ ან დივიდენდი, ან გამოცემული წიგნები. პაი სულ სამი მანეთი ეღირება. წიგნები იაფ-ფასიანი იქმნება და ისეთის შინაარსისა, როგორიც იყო „ახალის მკითხველის“ გამოცემანიო.

⁂ გაზეთი „მოსკ. ვედო.“ სწერს, რომ უცხოელებს აღეკრძალებათ კავკასიაში უძრავის მამულის შეძენაო. მყიდველმა უეჭველად ნება-რთვა უნდა აიღოს მამულის ყიდვისა მთავრობისაგან.

⁂ ქუთაისი. როგორც შეკრებილის ცნობებიდგან აღმოჩნდა, წელს ძლიერ ბევრი ჭიის თესლი ყოფილა დარიგებული ქუთაისის გუბერნიაში. თუმცა პირველს ორს ჰასაკში მეტის-მეტი ცუდი ამინდები დაუდგა აბრეშუმის ჭიას, მაგრამ 10 მაისიდგან კარგი ამინდები დადგა და ჭიაც გამოკეთდა. მყიდველი მეტად ბევრი ჩამოვიდა და უკვე დაიწყეს პარკების ყიდვაც. ჯერ-ჯერობით გირქვანქა ნედლი პარკი იყიდება 25 კაპეიკიდან 35 კაპეიკამდე.

⁂ სოხუმი. საქართველოს ექსარხოსს მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესს ფლაბიანესთან თხოვნა იქმნა გაგზავნილი იმის შესახებ, რომ ადგილობრივ საკათედრო ტაძარში ორ კვირაში ერთხელ წირვა-ლოცვა ქართულს ენაზედ სრულდებოდეს ხოლმე და ქართველ მრევლს მღვდელთ ქართულად გარდაუხადონ ხოლმე ყოველგვარი საეკლესიო წესიო.

⁂ ტფილისის ვაჭრები ყოველგვარ ღონისძიებასა ჰხმარობენ ფულის მოსაგებად. დაუხვდებიან ხოლმე სოფლიდგან ხილის ჩამომტანელთ, იაფად ჰყიდულობენ და ერთი ორად ჰყიდიან. ამ დღეებში ეს ვაჭრები დაუხვდნენ რკინის გზის სადგურზედ ავჭალიდგან ჩამოსულ სოფლელებს, რომელთაც ბალი ჩამოეტანათ. იყიდეს გირვანქა 2 კაპ. და ეხლა გირვანქას 5 კაპეიკად ჰყიდიან.

⁂ 2 ივნისს ბეზმენოვის სახლში, ტფილისის 1 ნაწილში, ცოფიანმა ძაღლმა დაჰკბინა სასამართლოს ბოქაული ვ. ი. ხარკევიჩი. ბ-ნს ხარკევიჩსა წამლობენ სამხედრო-სამკურნალო საავადმყოფოში პასტერისებურის წესით.

⁂ 1 ივნისს ბორჯომში დამწვარა სახელოსნო სასწავლებლის შენობა.

⁂ 3 ივნისს დაბა ლაგოდეხში (სიღნაღის მაზრაში) ღამის 1 საათზედ ვიღაცეებს მოუკლავთ ქართველი ვაჭარი ალექსი ქიტესაშვილი.

## ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲓᲒᲐᲜ

31 მაისი

31 მაისს თელავის წმ. ნინოს დედათა სასწავლებელში იყო აქტი, რომელსაც დაესწრნენ თელავის საზოგადოება და სოფლებიდგან მოსულნი მოსწავლეთა მშობელნი. წელს სასწავლებელში სწავლა დაამთავრა 11 ქალიშვილმა, რომელთაგანაც ეროვნებით 7 ქართველია, 1 რუსი და 3 სომეხი; წოდებრივ: 2 თავად-აზნაურთაგანია, 2 სასულიერო წოდებისა, 2 მოხელესი და 5 მოქალაქეთა ქალიშვილები.

სამადლობელი პარაკლისის შემდეგ, რომელიც შეასრულა მ. შიუკაშვილმა და რომელზედაც მშვენივრად ჰგალობა მოსწავლეთა გუნდი ბ-ნ მამალაძის ლოტბარობით, საპედაგოგიო საბჭოს მდივანმა ბ-ნმა ცისკარაშვილმა წაიკითხა მოსწავლეთა სია, რომლიდგანაც აღმოჩნდა ვინ და საიდამ სად გადაყვანილ იქმნა და აგრეთვე ვინ იყო დაჯილდოვებული. პირველი ხარისხის ჯილდო მიიღეს მესამეში კნიაჟ. ტატიანა ჯანდიერისამ და ეკატერინე ნასიძისამ. მეორეში და პირველში არავის მიუსაჯა პირველი ხარისხის ჯილდო საპედაგოგიო საბჭომ; მეორე ხარისხის ჯილდო-კი მრავალთ მიიღეს.

ხოლო სწავლა დამთავრებულთა

---

გზა. შორს იტაცებდა ყარას თვალს გარს შემორტყმული ხევსურეთის დიდებული თოვლიან-ყინულიანი მთები, რომლის წვერები ზოგი ნისლით იყო მობურული და ზოგი სარკესავით ჰბრჭყვინავდა მზის სხივებზედ. უყვარდა ყარას ჩხატების ყურის გდება. მათ მდუმარე ქუხილსა და ჩხრიალში იგი ეძიებდა თავის გულის პასუხს. მათი ხმა, როგორც მალამო, ესმებოდა იმისს დაკოდილსა და დათუთქულს გულს.

გავიდა ერთი წელიწადი, დადგა მეორე ყარას ამ ნაირად ყოფნისა, მაგრამ ვერ დაივიწყა მან თავისი საქმრო. ერთს საღამოს ყარა იჯდა სასაფლაოზედ და მთლად ფიქრებში გართულიყო. წყლის ხუილმა და ფიქრებმა მიიყვანეს იგი იმ მდგომარეობაში, როდესაც კაცი ივიწყებს საკუთარს „მე“-ს, როდესაც გარე ქვეყანა იმ წუთებში მისთვის არ არსებობს. ამ მდგომარეობაში იყო ყარა, როდესაც ვერ შენიშნა როგორ მიუახლოვდა ორი კაცი, რომელთა შორის ერთი იყო მისი საქმრო და მეორე-კი სრულიად უცნობი. საქმროს გულზე გამოსჩანდა შავ ლაქად ჭრილობა, რომლიდგანაც შავი სისხლი გამოჰჟურავდა. მისი სახე გაფითრებული იყო, ტანისამოსი დაგლეჯილი და სისხლში მოსვრილი.

შიშმა აიტანა ყარა. თვალებ-გაჭყეტილი მიაჩერდა უძრავად გარდაცვალებულს.

— ყარა, მომიგდე ყური, მიუბრუნდა საქმრო, მეძნელება მადლობის თქმა, ჩემის სიყვარულისა და დაუვიწყრობისათვის. შენ თითით საჩვენებელი ხარ ქალთა შორის, მაგრამ გთხოვ დაივიწყო შენი საქმრო... ის კვდარია და მკვდრები-კი ველარ დგებიან...

— მაშ... შენ როგორ-ღა?!.. წამოიძახა ყარამ ხმის კანკალით.

— მე გადავედი საიქიოს, მკვდარი ვარ და მოვედი შენთან გთხოვო, რომ ამოირჩიო საქმროთ აი ეს ახალგაზდა თუში. ნებას გაძლევ შეირთო. დაგლოცავთ, იყავ ბედნიერი, ისეთივე პატიოსანი, როგორიც იყავ აქამდე. მშვიდობით.

მოჩვენება განქრა. გულის ძგერით, კანკალით წამოვარდა ყარა. იგი ვერ მოსულიყო გონს; არა სჯეროდა მოჩვენება, მაგრამ იგი ისეთი ცხადი იყო, რომ დაუჯერებლობა არ შეიძლებოდა. იფშვნეტდა ყარა თვალებს, იხედებოდა აქეთ-იქით, სცდილობდა ენახა მოსაუბრე, მაგრამ ამაოდ. ყარა იდგა მარტოკა, იმისს გარშემო მკვდარი სიჩუმე ჰმეფობდა, რომელსაც მხოლოდ ხევის ქუხილი არღვევდა.

— ღმერთო, წარმოსთქვა ბოლოს ყარამ, ნუ თუ სიზმარი იყო? არა, შეუძლებელია! აქ რაღაცა გაუგებარი და საკვირველი ხდება! განა პირველადა ვარ აქ მარტო? როდის დამიკარგავს სიფრთხილე, თუნდა მეძინოს კიდეც? ეხლა ხომ მხოლოდ ვთლემავდი...

ამგვარს ფიქრებს მიეცა ყარა. ამ დროს უცბად ჯაგებიდგან ხმაურობა მოესმა. ხმაურობაზედ ყარამ თოფი მოიმარჯვა, ამოეფარა საქმროს საფლავის ქვას და მიაჩერდა ჯაგს. ჩქარა დარწმუნდა ყარა, რომ ჯაგს უკან რაღაცა სულდგმული უნდა ყოფილიყო.

— ნეტავ რა უნდა იყოს, ჰფიქრობდა ყარა; ნადირი, თუ კაცი? არის-კი რაღაცა.

უფრო აცქვიტა ყურები, მთლად სმენად გარდაიქცა; ჯაგებს არ აშორებდა თვალს.

— ოჰ, რა დიდის სიამოვნებით გავგმირავდი მაგ სულდგმულს, ლეკი რომ იყოს, წაიჩურჩულა ყარამ, დიაღ მაშინ შევწირავდი კაცს მსხვერპლად, მაგით გამოვისყიდდი ჩემის საქმროს სულს!..

ყარა არ მოსტყუვდა. ჯაგის ფოთლებს შორის შეამჩნია პატარა წითელი ლაქა. ეს სამყოფი იყო. ყარა დარწმუნდა, რომ ჯაგს უკან კაცი იყო დამალული.

— თუ სასიკვდილოდ არ მოვარტყი, გაურბინა თავში ყარას ფიქრმა: საქმე სახელდახელოდ მივა, ამისათვის ნიშანში კარგად უნდა ამოვიღო.

დაუმიზნა თოფი, მაგრამ როგორღაც არ ეხერხებოდა, რაღაცა უშლიდა, თითქო ვერ გაებედნა.

— რა სიმხდალეა და ბავშვობა, იფიქრა ყარამ: როდის გამძნელებია ლეკის მოკვლა!..

დაუმიზნა ისევ, რომ შეუბრალებლად ეტყორცნა ტყვია. ახალგაზდა ქალი, მშვენიერ სახიანი, მოსული როგორც ლერწამი, გულკეთილი, თავისებთან ყოველთვის მოტრფიალე, ეხლა სისხლის მსმელ მხეცს დაემსგავსა, ეხლა დაყრუვდა იმის გულში ყოველი კეთილი გრძნობა. მას სისხლი სწყუროდა, უნდოდა ენახა მტრის სიკვდილთან ბრძოლის დროს კრუნჩხვა და ტანჯვა...

— არა, ვერ წამიხვალ ხელიდგან!.. კბილების ღრჭენით წაიბუტბუტა ყარამ, და მოსწია ჩახმახის ფეხი.

იჭექა თოფმა. რაღაცა მძიმეთ დაეცა და ჯაგიც გაინძრა. ამის შემდეგ გაისმა შესაზარი ბღავილი, რომელმაც მთლად ააჟრჟოლა ყარა. პირველად რაღაცა გაუგებარმა ფიქრმა აიტაცა ყარა, შემდეგ შიშმა და ბოლოს მივარდა ჯაგთან.

მივარდა, მაგრამ რა ჰნახა? თავის ძმა გიორგი, რომელიც სასიკვდილოდ დაჭრილი სცურავდა თავისსავე სისხლში.

— გიორგი, ვაიმე ძმაო!.. იკივლა უბედურმა დამ და ზარ-დაცემული გარდაიქცა. ჰბღაოდა შესაზარად, იგლეჯდა თმას, იხოკდა სახეს, ჰკოცნიდა ფერ-მიხდილს ძმას, ადებდა ჭრილობაზედ ხელს, თითქო ამითი უნდა შეეწყვიტა სისხლი, რომელიც ფრქვევით გადმოსდიოდა გიორგის გულის მკერდიდგან...

— რად ისხედით ჯაგის უკან? შეჰყვირა ყარამ ახალგაზდა თუშს, რომელიც თავს დასტიროდა თავისს მეგობარს.

— შენთან მოსვლა გვინდოდა... გეძინა და ვერ გაგაღვიძეთ, ნაღვლიანათ უპასუხა თუშმა.

— და ამისათვის ქურდებივით ჯაგს უკან დაიმალენით?..

— განა მოველოდდით...

— უნდა მოგელოდნათ, გააწყვეტინა ყარამ, იმიტომ რომ ყველგან საფრებია... მაგრამ ეხლა დრო არ არის ლაპარაკისა, გასწი ჩქარა სოფელში და შეატყობინე ხალხს.

რამდენისამე წუთის შემდეგ გონება მიხდილი გიორგი გადაიტანეს სოფელში.

(შემდეგი იქნება)

* * *

შორის პირველის ხარისხის ჯილდო მიიღეს: ეკატერინე ახმეტელაშვილისამ; ეკატერინე შიუკაშვილისამ და თამარა ყაზახიშვილისამ; მეორე ხარისხისა: მართა და თამარა შიუკაშვილისამ (დები არიან), ნინო სოლოღოევისამ. ამასთან თითოეული სწავლა დამთავრებული დაასაჩუქრა სასწავლებლის გამგეობამ სახარებით.

შემდეგ გამგეობის საქმის მწარმოებელმა და ხაზინადარმა ბ-ნმა ზისერმანმა, რომელიც თელავში გადმოსვლის დღიდგან უსასყიდლოდ ასრულებს ამ თანამდებობას, მოახსენა დამსწრე საზოგადოებას შემდეგი: „წელს განთავისუფლდა ერთი ადგილი მათის იმპერატორებითის უდიდებულესობის სახელობაზედ დაარსებულ სტიპენდიათაგან და დღეს უნდა იყარონ კენჭი იმ ქალიშვილებმა, რომლებსაც ამ სტიპენდიის უფლება აქვთ. მართალია, თავის დროს გამოცხადებულიც იყო რა პირობებია საჭირო იმათთვის, ვინც კენჭს იყრის, მაგრამ მაინც გამგეობამ საჭიროდ დაინახა განეახლებინა დამსწრეთა მეხსიერებაში მოკლე ისტორია ამ სტიპენდიათა დაარსებისა. 1868 წელსა მათმა იმპერატორებითმა უდიდებულესობამ, აწ განსვენებულმა ხელმწიფე იმპერატორმა ალექსანდრე II კეთილ ინება ბრძანება დაჰნიშნოდათ შესაწევრად ხუთ-ხუთი ათასი მან. საქველ მოქმედო წმ. ნინოს საზოგადოებათ, რომელსაც თავმჯდომარეობდა მათი იმპერატორებითი უმაღლესობა დიდი მთავრინა ოლგა თეოდორეს ასული, 34 ქალიშვილის აღსაზრდელად. ამისთვის მათმა იმპერატორებითმა უმაღლესობამ ეს 34 სტიპენდია გაუყო სასწავლებლებს შემდეგის სახით:

წმ. ნინოს დედათა სასწავლებელს ტფილისისას—10, ქუთაისისას—10, თელავისას—5, ბაქოსას—5, ერევანისას—4.

1877 წ. მათმა უმაღლესობამ, დიდმა მთავრინამ ოლგა თეოდორეს ასულმა ჰბრძანა, თელავის სასწავლებელში ხუთის მაგიერ ოთხი ქალიშვილი აღეზარდათ მათის უდიდებულესობის სახელობაზედ, რადგანაც შენახვა სასწავლებლისა და, რასაკვირველია, თითოეულ მოსწავლის აღზრდაც გაძვირდა. ამავე მიზეზის გამო ოთხიც სამით შეიცვალა. დღეს ამ სტიპენდიაზედ იზრდებიან: ნინო აღნიაშვილისა, ბარბარე საყვარელიძისა და ქეთევან გოგნიაშვილისა, ეს უკანასკნელი სწავლის დამთავრების გამო სცლის სტიპენდიასა.

30 დეკემბერს 1872 წ. მათმა უმაღლესობამ, უავგუსტოესმა თავმჯდომარემ საბჭოსამ განკარგულება მოახდინა, რომ შემდეგის წესით იხელმძღვანელეთო: საიმპერატორო სტიპენდიაზედ კანდიდატებად დანიშვნის დროს უპირატესობა მიეცით იმ ქალიშვილებს, რომელთა მშობელნი არიან მე-V და IV კლასის ხარისხში, აგრეთვე დამსახურებულ მხედართა და მოხელეთა ქალიშვილებსო. 12 ივლისს 1886 წ. იგივე იყო განმეორებული. 30 ივნისს 1890 წ. შეიცვალა ეს წესი.

რადგანაც თელავისა და სიღნაღის მაზრის მცხოვრებლები თუ სამსახურისა გამო არიან ტფილისის მაზრაში, ტფილისის წმ. ნინოს დედათა სასწავლებელი მათ ქალიშვილებსაც ისევე იყვანს, როგორც ტფილისის მაზრის მცხოვრებლებისას, აგრეთვე უნდა მოიქცეს თელავის სასწავლებლის გამგეობაც და სხვა მსგავსივე სასწავლებლის გამგეობაცა, ე. ი. ქუთაისისა, ბაქოსი და ერევნისა.

კენჭის ყრაში მონაწილეობა შეუძლიანთ მიიღონ 12 წლისაზედ უფროსთაც, რადგანაც § 66 წესდებისა შეეხება ქალიშვილის სასწავლებელში მიღებას და არა კენჭის ყრასაო". ამის შემდეგ იყარეს კენჭი და სტიპენდია ერგო თამარ როსტომაშვილისას.

ამ სასწავლებლიდგან წელიწადში ერთი იგზავნება სწავლის განსაგრძობად ტფილისის წმ. ნინოს დედათა სასწავლებელში სახელმწიფო ხარჯზედ და ისიც ყველაზედ უკეთესი იმათში, ვისაც უფლება აქვს. ყოველ წელიწადს ეს გარემოება იწვევს მოსწავლეთა შორის კეთილშობილურ შეჯიბრებას, ხოლო მშობელთა შორის—სამართლიანს და უფრო ხშირად უსამართლო სამდურავს. რასაკვირველია, უმჯობესად რამდენიმე სწავლობს, უფრო ხშირად ცოტად გაირჩევიან ერთი ერთმანეთისაგან სწავლით. მოხდება ხოლმე, რომ სწავლის დროს ერთს მეტი ნიშნები აქვს მეორეზედ, მაგრამ მეორე გამოცდის დროს უკეთესად ემზადება, უკეთესს ნიშნებს იღებს და პირველს აღემატება. მშობლები ხშირად ჰხსნიან ამას მასწავლებლების ვითომ და უსამართლოდ ნიშნების დასხმითა. ამისთანა სარჩიელზედ იბადება ათასი ჭორი და ცილის წამება, რის გამოც ხან სამართლიანად დამსახურებულს უკეთესობას ჩამოართმევენ და ისეთს მისცემენ, რომელიც ღირსი არ არის ხოლმე. საქმე ის არის, რომ უკეთესობასთან არის შეერთებული სახელმწიფო ხარჯზედ გაგზავნა. ეს გარემოება მოსწავლეებზედ კარგად ჰმოქმედობს იმ მხრივ, რომ ყველანი, ვისაც უფლება აქვს, ცდილობენ უკეთესობას, მაგრამ ამ კეთილშობილურ მისწრაფებაში ერევა ღვარძლი, სასწავლებლის გარეშე მდგომთაგან ნათესი.

წლევანდელს წელიწადს ერთი სხვა გარემოებაც დაემატა ყველა იმას, რაც აქამდის იყო. წინად, როცა ამ სასწავლებელს განაგებდა კნ. ანნა ილ. ჭავჭავაძისა, ისეთი ამბავი მოხდა, რომ სახელმწიფო ხარჯზედ გაიგზავნა მოქალაქის ქალიშვილი, თუმცა ტფილისის სასწავლებლის მთავრობამ არ მიიღო გაგზავნილი, რაკი თავად-აზნაურთაგანი არ იყო და არც მოხელის ქალიშვილი იყო. ახლა ვინც ყველაზედ უკეთესად დაამთავრა სწავლა, იგი მღვდლის ქალიშვილია; იმისი მომდევნოც სწავლის მხრით მღვდლისავე ქალიშვილია, რომლის მამა იმავე სასწავლებელში საღმრთო სჯულის მასწავლებელია; მესამე იმავე მოქალაქის შვილია, რომლის ქალიშვილიც არ მიიღო სასწავლებელმა ერთ დროს, როგორც უფლება მოკლებულისა; მეოთხე და მეხუთე ორნი დანი არიან მოხელის ქალიშვილები.

სასწავლებლის წესდების მე-15-მუხლში ნათქვამია: „შესვლა სასწავლებელში სახელმწიფო, ანუ დედათა საქველმოქმედო საზოგადოების ხარჯით შეუძლიანთ ქალიშვილებს: თავად აზნაურთა, აფიცერთა და მოხელეთა. საქმე ის არის, სამღვდელოებამ ამ შემთხვევაში შეიძლება მოხელეთა თანაბარი ადგილი დაიჭიროს თუ არა? მოხელეთა შვილები და სამღვდელოების შვილები ერთნაირის მოქალაქობრივ უფლებისანი არიან რუსეთის კანონმდებლობის წინაშე. თუ წესდებაში გამოტოვებულია სიტყვა „სამღვდელოებისა", ეს კიდევ იმას არა ჰნიშნავს, რომ სამღვდელოებას უფლება ერთმეოდეს დაიჭიროს სახელმწიფო სტიპენდია. აქ წესდების მუხლის ასახსნელად საჭიროა დავიხმაროთ ყველაფერი, რაც-კი ამ საკითხს შეეხება. ჩვენ ვიცით საზოგადოდ, რა ადგილიც უჭირავს სამღვდელოებას და როგორი ნდობაცა აქვს დამსახურებული მთავრობისაგან; ჩვენ ვიცით, რომ სამღვდელოების ვაჟიშვილებს ყველა სასწავლებელში იღებენ სახელმწიფო ხარჯით, თუ სხვა პირობა აკმაყოფილებს; ჩვენ ვიცით, რომ 16 იანვრიდგან 1898 წ. № 104 ჩარიცხულია ამ სკოლის სტიპენდიის კანდიდატად ქალიშვილი მღ. ტერ აზელა-სუქიასოვისა, რომელიც საღმრთო სჯულის მასწავლებელია ამავე სასწავლებელში; ჩვენ ვიცით, რომ სამღვდელოების შვილებს იღებენ იმისთანა სპეციალურ სასწავლებელში, როგორიც სამხედრო სასწავლებელია. თუ დედა-აზრის მხრივ საკითხის გარდაწყვეტას მოინდომებს ტფილისის სასწავლებლის მთავრობა, რაც ძალიან სასურველია და თუ ეს სტიპენდიები, როგორც ამბობენ, მინიჭებული არა აქვს მარტო თავად-აზნაურობას, თუ მოხელეთა ქალიშვილებსაც უფლება აქვთ, მაშინ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სამღვდელოების ქალიშვილებს არ წაართმევს, რაც სახელმწიფო სჯულთა-დებით მინიჭებული აქვთ, ე. ი. მოხელეთა ქალიშვილების თანაბარ შეღავათსა. თუ კერძოდ განიხილავს მთავრობა ამ საკითხსა, მაშინ შეიძლება, არ მიიღოს ადგილობრივი საპედაგოგიო საბჭოსაგან ყველაზედ უკეთესად ცნობილი ეკატერინე ახმეტელაშვილისა, რაკი იგი მარტო მღვდლის ქალიშვილია, მის მიმდევრებში აარჩევს უფლების მქონებელს, ხოლო უკეთესსა. იქნება მართლა ეს სტიპენდია დაარსებულია მარტო თავად-აზნაურთათვის, ამ შემთხვევაში საჭიროა ეს გარემოება ცნობილი იყოს ყველასათვის. თუმცა ძალიან საეჭოა, რომ მარტო თავად-აზნაურთათვის იყოს ეს სტიპენდია, მაგრამ თუ მოულოდნელი მოსალოდნელი შეიქმნა, არ იქნება უსიამოვნო ამბავი, რადგანაც თავად-აზნაურობაც გაჭირვებულ მდგომარეობაშია. საქმე ის არის, რომ თავად-აზნაურობამ მაინც ჯეროვნად ისარგებლოს. ჯეროვან სარგებლობას კიდევ იმას ვეძახი, სხვათა შორის, რომ, რაკი ეს ეცოდინება, ეცდება უკეთესად მოამზადოს მოსტიპენდიენი.

დარწმუნებულნი ვართ, რომ ტფილისის წმ. ნინოს დედათა სასწავლებლის მთავრობა დედა-აზრის მხრივ გადასწყვეტს აღძრულ საკითხსა და ერთხელ და სამუდამოდ ბოლოს მოუღებს ამ საკითხსა, რითაც ამ სასწავლებლის გამგეობას და საპედაგოგიო საბჭოსაც დაიხსნის ათასნაირის ეჭვისაგან. ამიტომ საჭიროა, ეს საკითხი საფუძვლიანად იქმნას განხილული, გადაწყვეტილი და საქვეყნოდ გამოცხადებული. სასწავლებლის განსაკუთრებულ პირობათა გამო არ შეიძლება ხელი გაიწვდინოს ვინმე უაღრეს ხარისხის სიმართლემდე, ე. ი. ისურვოს, რომ სტიპენდია დარჩეს უკეთესს, შთამომავლობისა და ეროვნების მიუხედავად, მაგრამ ის-კი სასურველია, რომ სიმართლე შესაძლებლად დაცული იყოს, რაც ყოველთვის უმრავლესობას ჯეროვანად აკმაყოფილებს.

სასწავლებელს მომავალში უკეთესობა მოელის, რადგანაც გამგეობის მეცადინეობით მოსამზადებელი კლასი ორ-დამოუკიდებელ განყოფილებად იყოფება მომავალ წლიდგან და მოსამზადებელი კლასი ხომ საფუძველია, რომელზედაც უნდა იქმნას აღმართული მთელი შენობა სწავლა-განათლებისა. გამგეობის თავმჯდომარე ქ-ნი სოფიო სტანისლავის ასული განსევიჩისა და მისი თანამშრომელნი იქამდის კარგნი ეკონომოსნი გამოდგნენ, რომ სასწავლებლის ღარიბს ჯიბეში დაზოგილი ოქროები გაჩნდა. ამ დაზოგილით უპირებს გამგეობა სასწავლებელს მოუწყოს კიდევ ორი ოთახი და დანარჩენი გადასდოს სამუდამო შესანახად.

როცა სასწავლებლის საქმე უკეთესობის საფეხურისაკენ მიიწევს, სანატრელია, ყოველივე დაბრკოლება დაძლეულ იქმნას ჭეშმარიტებისა და სიმართლის მახვილით.

ნადიკვრელი

◆ ◆

## ქართული თეატრი

ა. კავსაძის ხოროს კონცერტი

შაბათს, 6 ივნისს, ქართულს თეატრში, ქართულმა საერო ხორომ, ბ-ნ ალ. კავსაძის ლოტბარობით კონცერტი გამართა. ხორომ შეასრულა სულ 22 ქართული სიმღერა, მათ შორის ზოგი ისეთიც, რომელიც ნოტებზედ ახალი გადაღებულია და ქალაქში ხოროს არასოდეს არ უმღერია. ხოროს დიდი წარმეტა ეტყობა. ამ საღამოს კონცერტმა გაცილებით უკეთ ჩაიარა, ვიდრე ამ ხოროსავე მიერ ყველა წინად გამართულმა კონცერტებმა. თვით ხოროც უფრო მეტის მომღერალისაგან შესდგებოდა ამ საღამოს. როგორც ეტყობა ბ-ნი კავსაძე შრომას არა ჰზოგავს და ბევრსა სცდილობს, რომ სიმღერები სწორედ ისე იქმნას შესრულებული, როგორც გლეხკაცები ჰმღერიან ხოლმე. ამ შემთხვევაში კავსაძე დიდის მადლობის ღირსია. წინანდელი ხოროები ხშირად სცვლიდნენ სიმღერებს და ევროპიულ კილოს აძლევდნენ ხოლმე. უფრო კარგად შეასრულა ხორომ „ვუშინ შვიდნი გურჯანელნი", „ვარადო", „ბრძანა სოლომონ", კახური „მგზავრული", „გოგოვ შუშანაო", „სატრფოვ, შენთვის დავიბადე" და მრავალი სხვა. საზოგადოდ-კი უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ხოროს ქართლ-კახური სიმღერები უფრო ეხერხება, ვიდრე იმერულ-გურული. ამისი უმთავრესი მიზეზი, რასაკვირველია, ის იქნება, რომ ეს უკანასკნელი სიმღერები გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე პირველი, მაგრამ, შეიძლება ისიც იყოს, რომ ხორო უმთავრესად ქართლ-კახელებისაგან შესდგება და იმერულ-გურულ სიმღერების ნოტების შემწეობით შესწავლა-კი ძალიან ძნელია, თუ კაცს თავისის ყურით არ მოუსმენია.

საზოგადოებამ დიდის ტაშის ცემით დააჯილდოვა ბ-ნი კავსაძე და მომღერალნი. დასასრულ დამსწრენი აღტაცებაში მოვიდნენ ლეკურით, რომელიც „გოგონა"-ზედ შეასრულა გლეხურ ჩოხასა და ქალამნებში გამოწყობილმა ერთმა ყმაწვილმა კაცმა.

ა—ე

◆ ◆

## რუსეთი

საერო განათლების სამინისტრომ ბრძანება დაუგზავნა ყველა სამოსწავლო ოლქის მზრუნველს, რომ სწავლის ფულიდგან უნდა განთავისუფლებულ იქმნენ იმ ებრაელთა შვილები, რომელნიც სამინისტროს ქვემდებარე საშუალო და დაბალ სასწავლებლებში ჰმსახურებენო.

— წარსულის წლის საერთო აღწერით გამოქვეყნებულ ცნობებიდგანა სჩანს, რომ მთლად რუსეთის იმპერიაში 16,000 ორივე სქესის მსახიობი, რეჟისორი, მათი დანაშემწე და სუფლიორი ყოფილა.

— ამ დღეებში უმართებულესმა სენატმა განმარტა, რომ 1892 წლის დებულებით არ არის აკრძალული ხმოსნობაზედ კენჭი იყაროს იმან, რომელსაც არჩევანში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს, მაგრამ მოწმობა-კი კანდიდატების სიის გამოქვეყნებამდის არ წარმოუდგენიაო. პირიქით იმავე დებულების 43 მუხ. ძალით საბჭოს ხმოსნობაზედ შეუძლიან კენჭი იყაროს ყოველ იმას, რომელიც-კი ხუთის ხმით იქმნება დასახელებული და თანხმობას განაცხადებს კენჭის ყრაზედ.

◆ ◆

## უცხოეთი

**ესპანიისა და შეერთებულის შტატების ომი.** გაზ. „Нов. Вр." სწერს: „ბრძოლის ველიდგან დაჭეშმარიტებული ამბები არ მოდის: დღევანდელი დეპეშები უარსა ჰყოფენ იმას, რასაც გუშინდელი იუწყებოდნენ. წინად ამბავი მოვიდა, მაგალითად, რომ ტამპში ჯარი გემებზედ დასხეს და კუბაში გაისტუმრესო, მაგრამ დღემდის არაფერი ისმის ამ ჯარის კუბაში გადასხმის შესახებ. შეიძლება ტამპიდგან წასული გემები, რომელთაც 25,000 ჯარის კაცი, ატლანტიის ზღვაში დასეირნობენ. ინგლისის გაზეთების კორესპონდენტებიც-კი არაფერს არ იუწყებიან. მხოლოდ კინგსტონიდგან ჰგზავნიან ხანდისხან ამბებს, მაგრამ ეს ამბებიც უმეტეს ნაწილად სიმართლეს მოკლებულია ხოლმე. ის ამბავი, რომ მეამბოხეთ ესპანიის ჯარი ამოსწყვიტეს და მანილი დაიჭირესო, ჯერ-ჯერობით არ გამართლებულა".

— გაზეთები იუწყებიან, რომ დღე-დღეზედ კუბის მახლობლად გაჩნდება ესპანიის მეორე ესკადრა, რომელიც თხუთმეტის გემისაგან შესდგება. ეს ესკადრა ამ რამდენისამე ხნის წინად გამოვიდა ესპანიიდგან და კუბისაკენ გაემართაო. ესკადრას უფროსობს ადმირალი კამარიო.

— ჰავასის სააგენტოს დეპეშით ატყობინებენ ჰავანიდგან: 30 მაის დილით, ადმირალის სამპსონის ესკადრის შვიდმა გემმა ხელ-ახლა დაუშინა ყუმბარები სანტ-იაგოსაო. იმავ დროს სხვა გემები ნაპირს მიადგნენ, რათა ჯარი გადაესხათ. ყუმბარების სროლამ სამი საათი გასტანა. ესპანიის ჯარი იმ ადგილას გამწკრივდა, სადაც ამერიკელებს თავიანთი ჯარის-კაცები დაუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადასცხათ და მედგრად შეებრძოლა ამერიკელებს. ამ უკანასკნელებმა ვერც ერთი ჯარის-კაცი ვერ გადასვეს ნაპირზედ. რადგანაც ამერიკის გემები ძალიან შორს იდგნენ, ესპანელებისათვის მათ ზარალი თითქმის არაფერი მიუყენებიათ.

— გაზ. „Berliner Tageblatt"-ს. ლონდონიდგან დეპეშით ატყობინებენ, რომ სანტ-იაგოს მცხოვრებელნი დღეს გაჭირვებაში არიანო. ქალაქს სურსათი შემოაკლდა და ხალხს პური ვეღარსად უშოვნიაო. იგივე გაზეთი სწერს, ამერიკის ზღვათა დეპარტამენტმა აცნობა ადმირალს სერვერს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ესპანია თვით დაღუპავს სანტ-იაგოში მყოფ თავის ესკადრას და გემებს ძალად ჩასძირავს, რათა ისინი ამერიკას ხელში არ ჩაუვარდეს, შტატების მთავრობა მოსთხოვს ესპანიას, რომ სამხედრო ჯილდოს გადახდის დროს, გადაიხადოს აგრეთვე ისიც, რაც დაღუპული გემები ეღირებაო.

— იმ ამბავმა, რომ ფილიპეს კუნძულზედ მყოფი ისპანიის ჯარი და ესპანელნი დიდს გაჭირვებაში არიანო, დიდი მითქმა-მოთქმა და ლაპარაკი გამოიწვია მადრიდში. ხალხი უკმაყოფილოა, რომ მთავრობამ დროზედ არ გამოიდო თავი და საჭირო ჯარი არ მიაშველა ფილიპეს კუნძულების გენერალ-გუბერნატორს. პარლამენტში თითქმის ყველა დეპუტატებმა უსაყვედურეს ამის გულისათვის მთავრობას. მინისტრ-პრეზიდენტმა საგასტამ თავი იმითი იმართლა, რომ დეპეშები არ მოგვდიოდა კუნძულიდგან და არ ვიცოდით რა ამბავი ხდებოდა იქაო. მანილში მომხდარ ბრძოლის შემდეგ სულ სამი დეპეშა მივიღეთო, სთქვა საგასტამ, პირველი დეპეშა იუწყებოდა, რომ კუნძულში მშვიდობიანობა არის და ადგილობრივი მცხოვრებელნი ჩვენ წინააღმდეგ ხელის გაღებას არ აპირობენო. მეორე დეპეშამ გვაცნობა, რომ მეამბოხეთა წინამძღოლი აგვინალდო აქ მოვიდა და მესამე დეპეშაც ეს არისო. ამ ვითომდა გამართლებამ პარლამენტის დეპუტატები ძალიან აადელვა. მათ თითქმის ერთხმად გაჰკიცხეს მთავრობა თადარიგის დაუჭერლობისა და უმოქმედობისათვის. ძალიან უკმაყოფილოა მთავრობისა აგრეთვე ჟურნალ-გაზეთობაც. თითქმის ყველა გაზეთები ერთხმად გაიძახიან, რომ აწინდელ მთავრობას არც წინად გაუკეთებია რამ და არც ამ ომის დროს აკეთებს რასმეო, გაზ. „Imparcial"-ი ამბობს, მაგალითად, რომ ესპანიას ამ ჟამად ისეთი კაცები არა ჰყავს, რომელთაც შეეძლოთ სახელმწიფო ასე თუ ისე გაჭირვებულ მდგომარეობიდგან გამოიყვანონ. აწინდელმა მთავრობამ თავისი უნიჭობა და უთაურობა უკვე დაამტკიცა და დაგვანახვაო. გაზეთები ერთხმად ამბობენ, რომ უეჭველად ამბოხება მოხდება და უშიშრად გაიძახიან, რომ სახელმწიფო აწინდელმა მთავრობამ ჩააგდო განსაცდელშიო.

◆ ◆

## დამაკვირდი

ბრმაჲ ხარ გონებისა თვალითა და ყრუ ხარ გონებისა ყურითა.

ვახტანგ გორგასალ.

* * *

გრილ ჩემდა ცეცხლი შენი, რომელი ვერ შეეხების ცეცხლსა სულისა ჩემისასა.

შალვა ახალციხელი

* * *

ბუნებაჲ ლბილი და ჩჩვილი, ვითარცა ცვილი საბეჭდავსა, ეგრეთ მიიღებს სწავლულებასა.

გ. მ. ცხ. აღმწერელი *)

◆ ◆

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

შვეციის ინჟენერის ანდრეს ბედი თან და თან უფრო ძლიერ აწუხებს ყველა ქვეყნის მეცნიერთ. რა მოუვიდა ანდრეს? სად არის ეხლა?

ანდრე წავიდა ჰაეროსტატით ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ 11 ივლისს. თან წაიყვანა ბევრი მტრედი, რომელთათვის პატარა ბარათები უნდა გამოება და გამოეშვა. ამ მტრედებში მხოლოდ ერთი დაბრუნდა უკან. მტრედს ბარათი ება და შიგ ეწერა: 13 ივლისი. ჩრდ. ს. 82°2' ა. სიგ. 15°5' კარგი გზაა აღმოსავლეთისაკენ. ჰაეროსტატზე ყველაფერი კარგად არის. ანდრე.

ჰაეროსტატი რომ წავიდა, სამხრეთის ქარი უბერავდა ისე ძლიერად, რომ ჰაეროსტატს შეეძლო საათში 40 ვერსი გაეარა. მაშ რა მიზეზია, რომ მთელის ორის დღის განმავლობაში მხოლოდ 82 პარალელს მიაღწია?

ამის პასუხს გვაძლევს დოქტორი ნილსი ეკჰოლმი, რომელიც უნდა წასულიყო ანდრესთან, მაგრამ აღარ წავიდა. ეკჰოლმი ამბობს, ეს იმის ბრალია, რომ უეჭველია ქარი შეიცვალაო. მაშასადამე, ანდრეს ჰაეროსტატი კარგა დიდ ხანს ივლიდა ჩრდილოეთის მხარეს და ამიტომ ძლიერ დააგვიანდებოდა. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ შესაძლებელია ანდრეს ჰაეროსტატი ან ამერიკისა და ან ციმბირის ჩრდილოეთ ნაპირებზე მიეტანოს ქარს. ან კიდევ შესაძლებელია, რომ ეს ჰაეროსტატი ჩამოსულიყოს ფრანც-იოსების ადგილას, სადაც ჯეკსონმა გამართა სურსათის საწყობი. თუ ასე მოხდა, მაშინ ანდრესა და იმის ამხანაგებს არაფერი უჭირთ.

ასეა თუ ისე, თუ ეხლა ცოცხალია ანდრე, უეჭველად ხმელეთზე უნდა იყვეს, რადგანაც თან მხოლოდ 4 თვის სურსათი ჰქონდათ წაღებული. გარდა ამისა, ჰაეროსტატი ამდენ ხანს ჰაერში ვერ გასძლებდა და ძირს უნდა ჩამოსულიყო.

საქმე ის არის, სად დაეშვა ეს ჰაეროსტატი? კიდევ კარგი, თუ ფრანც-იოსების ადგილზე. აქ ჯეკსონის მიერ შენახული სურსათი რომ არ ეპოვნათ, მაინც შეეძლოთ ცხოვრება, რადგანაც ბევრს დაჰხოცავდნენ დათვებსა და დაიჭერდნენ თევზს.

და თუ ანდრეს ჰაეროსტატი ფრანც-იოსების მიწაზე არ დაეშვა, მაშინ აშკარაა, რომ ეს გამბედავნი მოგზაურნი დაიღუპნენ. ვიდრე ანდრე წავიდოდა თავისის ჰაეროსტატით, მეგობრებმა ჰკითხეს, რა იქმნება, რომ თქვენი ჰაეროსტატი ზღვაში ჩაეშვასო. —„დავიღუპებითო", წყნარად უპასუხა ანდრემ.

აგრეთვე საშიში იქმნებოდა ანდრესთვის, რომ ფრანც-იოსების ადგილიდგან აღმოსავლეთისაკენ ან ჩრდილოეთისაკენ დაშვებულიყვნენ, რადგანაც იქ ვერც ერთს ცხოველს ვერა ნახავდნენ. გარდა ამისა, აღმოსავლეთის მხარეს რომ დაშვებულიყვნენ, დიდი ხანია როგორმე მივიდოდნენ იმ ადგილამდე, სადაც ხალხი სცხოვრობს და, მაშასადამე, მათი ამბავი აქამდე გვეცოდინებოდა.

ერთს აერონავტს, გვარად გოდორს განზრახვა აქვს ანდრეს საძებნელად წავიდეს აეროსტატითვე. სურვილი მეტად კარგი და პატიოსანია. მაგრამ შეჰხვდება-კი სადმე, თუ ვერა, ამის პასუხს ვერავინ მოგვცემს.

◆ ◆

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

7 ივნისი

**ცეტინიე**. საზღვარზედ შეტაკება მოხდა. ორსავე მხრივ მოკლულნი არიან. მინისტრთა საგანგებო კრებამ გადასწყვიტა სასტიკი ღონისძიებანი მიიღოს და გაგზავნოს საზღვარზედ რამდენიმე ბატალიონი. პორტა დაჰპირდა, კაიმაკანს დავითხოვო და უსკუბში კომისია გაგზავნა, რომელმაც უნდა ეს საქმე გამოიძიოს.

**მადრიდი.** გენერალ-გუბერნატორის მიერ მანილიდგან გამოგზავნილი ოფიციალური დეპეშა იუწყება: „ჯარი მტერს ეომება და იმის წინ მსვლელობას აფერხებს. მტერი თანდათან მრავლდება, რადგანაც ჩვენის ჯარის ადგილობრივი ჯარის-კაცნი ჩვენ თავს გვანებებენ და იმათ უერთდებიან. ეს გარემოება ამავე დროს ჩვენ ძალას ამცირებს და შეიძლება იძულებულიც მყოს ხსნა ქალაქის გალავანში ვეძებო. მე უწინდელებრ მოწყვეტილი ვარ პროვინციას. არ ვიცი, ჯარი შესძლებს თუ არა გაუმაგრდეს მტერს, რადგანაც სურსათი ნაკლებადა გვაქვს. იმედი მაქვს, რომ ვიდრე ძალა სრულიად გამოგველეოდეს, ნახევარ კუნძულიდგან დახმარებას აღმოგვიჩენენ. აუგისტი. 13 ივნისი".

**ჰიბრალტარი.** ესპანიის ესკადრამ ხუთშაბათს საღამოს გაიარა აღმოსავლეთისაკენ.

**რომი**. რუდინმა აცნობა პალატას, რომ კაბინეტი თანამდებობას თავს ანებებსო.

**ლონდონი.** გაზ. „Times"-ს დეპეშით ატყობინებენ, რომ კუბაში შესევა მართლაც შემოდგომამდის გადაიდოო.

**ნიუ-იორკი**. კონგონიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ მეამბოხენი, რიცხვით ათასი კაცი, მანილაში ორჯერ უფრო ძლიერს ესპანიის ჯარს თავს დაესხნენ და მანილის შესავალი თითქმის დაიჭირესო. შემდეგ მეამბოხეთ აიღეს წყლის მილი, საიდგანაც ქალაქს წყალი ეძლევა.

**ლონდონი**, „Times"-ს დეპეშით ატყობინებენ გონ-კონგიდგან, რომ მანილის გენერალ-გუბერნატორის ოჯახობა ხელთ ჩაუვარდა მეამბოხეთ, რომელთაც სამი ათასი ტყვე წაიყვანეს, მაგრამ მეამბოხენი მაინც კარგად ექცევიანო. მანილში მყოფი ესპანიის მთავარ-ეპისკოპოსი შანხაიში მოვიდა.

**პრაგა**. იმ რუსების პატივსაცემად, რომელნიც პალაცკის სახსოვრად გასამართ დღესასწაულებზედ დასასწრებლად მოვიდნენ, გამართული იქმნა ბანკეტი. ბანკეტზედ ბურგომისტრი მიესალმა სტუმრებს. პროფესორმა ბრანდტმა (მოსკოვიდგან) მადლობა გადაუხადა. საიმპერატორო სასამართლოს წევრმა სოკოლოვსკიმ მოკითხვა გარდასცა პოლონელებისაკან. ვ. ვ. კომაროვმა გარდასცა ვერცხლის გვირგვინი პეტერბურგის მიერ საჩუქრად გამოგზავნილი და სლავიანთა საქველ მოქმედო საზოგადოების ადრესი. მრავალი დეპეშა მიიღეს.

**კონსტანტინეპოლი**. პორტამ განაცხადა, რომ საზღვარზედ შეტაკება აღარ არისო. ის ხმა, რომ საზღვარზედ 20,000 ალბანელი სდგასო, გაზვიადებულიაო.

**პარიჟი.** რიბომ გამოუცხადა ფორს, იმდენი ძალა არა მაქვს, რომ დღევანდელ საქმეთა ვითარების დროს კაბინეტის შედგენა ვიკისროო.

**პეტერბურგი.** გამოქვეყნებულ იქმნა უმაღლესი ბრძანება იმის შესახებ, რომ შეცვლილ იქმნას ის წესი, რა წესითაც მოაქვთ საზღვარ გარეთიდგან ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო მანქანები, იარაღი, მიწის განაყოფიერებელი ნივთიერებანი და სოფლის მეურნეობისათვის საჭირო ქიმიური ნივთიერებანი და პრეპარატები.

დათხოვნილ იქმნა თავისისავე თხოვნით, დიდის სამთავროს ფინლიანდიის მინისტრი-სტატ-სეკრეტარი ფონ-დენი.

**პრაგა.** ბრწყინვალე დღესასწაულები პალაცკის სახსოვრად მიმდინარეობს ისე, რომ მშვიდობიანობა არაფერს დაურღვევია. 5 ივნისს, საღამოს ბანკეტი იქმნა გამართული სოფიის კუნძულის ქალაქის დარბაზში. თავმჯდომარეობდა მხცოვანი მკურნალი რიგე; დაესწრნენ: ქალაქის მოურავი პოდლიპნი, პალაცკის შვილი, პრაგის ყველა შესანიშნავი კაცი, ავსტრიის ყველა კუთხიდგან მოსული სლავიანები, წარმომადგენლები რუსეთის უნივერსიტეტებისა, სამეცნიერო დაწესებულებათა და ჟურნალ-გაზეთებისა. წარმოთქმულ იქმნა მრავალი ბრწყინვალე სიტყვა. საზოგადო აზრი სიტყვებისა ის არის, რომ საჭიროა დაცულ იქმნან სლავიანები ნემეცთა შემოსევისაგან, რაიცა საკეთილო არ არის არც იმის არსებობისათვის და არც ავსტრიის სახელმწიფოს წეს-წყობილებისათვის. საღამოს კუნძულსა და მდინარეზედ ჩირაღდანი იქმნა გამართული, რამაც მრავალი ხალხი მიიზიდა.

8 ივნისი

**პრაგა.** აკადემიაში პალაცკის პატივსაცემლად სადღესასწაულო სხდომის გამართვის შემდეგ, ნადიმი იყო გამართული 560 მოწვეულისათვის, რომლის დროსაც მრავალი სიტყვა წარმოითქვა ქალაქის საბჭოს წევრმა აღნიშნა იმპერატორის იუბილეი, დიდი წარმატება ჩეხის ერისა ამ მეფობაში და თავისი სიტყვა იმპერატორის სადღეგრძელო hoch-ით დააბოლოვა. იქ დამსწრენი აღტაცებით შეუერთდნენ ამ ძახილს. ქალაქის მოურავი პოდლიპნი პრაგას სახელით მიესალმა სტუმრებს. შემდეგ ილაპარაკეს: დეპუტატმა კრამარმა, წარმომადგენლებმა სლოვაკებისამ, სლოვინებისამ, პოლონელებისამ, რუსინებისამ, ხორვატებისამ, დალმატებისამ და ბოლგარელებისამ. მოსკოვის სახელით პროფესორი ბრანდტი ჰლაპარაკობდა. რიგერმა, რომელსაც გულ-მხურვალედ მიეგებნენ, ისურვა, რომ არ შეწყვეტილიყოს თანხმობა გამსბურგთა და ჩეხის ერს შორის და აგრეთვე ავსტრიაში მცხოვრებ სლავიანის ყველა ტომთა შორისაო. ნადიმს შემდეგ სადღესასწაულო წარმოდგენა იყო თეატრში.

**პარიჟი.** ფორი სარვენს დაიბარებს და იგი თუ ვერ მოახერხებს, მაშინ დიუპიუის მიიხმობს.

**მადრიდი.** მანილის დამორჩილების ამბავი ტყუილია.

**პარიჟი.** ფორმა სარვენს მიანდო კაბინეტის შედგენა. სარვენი დასთანხმდა და პასუხს ორშაბათს გასცემს.

**პრაგა.** დიდმა მთავარმა კონსტანტინე კონსტანტინეს ძემ პალაცკის პატივსაცემელ დღესასწაულის გამმართველს კომიტეტს მისასალმებელი დეპეშა გამოუგზავნა და უსურვებს, რომ ეს დღესასწაული ღირსეულად იქმნას გარდახდილი.

**პარიჟი.** სარიენმა დაიწყო მოლაპარაკება, რათა საფუძველი იპოვოს უმთავრესს რესპუბლიკელ წრეებთან მოსარიგებლად და მორიგების კაბინეტი შეადგინოს.

**პრაგა**. 6 ივნისს აქტი იყო პალაცკის პატივსაცემლად გამართული ჩეხთა მუზეის პანტეონში. აქტი გაჰმართა მეცნიერებათა აკადემიამ და პრაგას უნივერსიტეტმა. შენობა მშვენიერის ხუროთ-მოძღვრებისაა. უშველებელი დარბაზი 1,500 კაცს იტევს. დაესწრნენ: პალაცკის შვილი, უკვე ხანში შესული პროფესორი, ბოგემიის მთავარ-მართებელი, ლანდმარშალი, დეპუტატები, ჩეხის სწავლულნი, აკადემია და „მატიცა"-ს საზოგადოება. კრება დაიწყო თავმჯდომარემ გრაფმა გარრახმა. ზემოთ—ქანდარაზედ გალობის საზოგადოება „გლაგოლია" და ქალები. გრაფმა გარრახმა აღნიშნა, რა მნიშვნელობა ჰქონდა ფრანც პალაცკის ყველა სლავიანებისათვის იმითი, რომ მან აღადგინა ჩეხის ერი. ყოველ მხრივ განიხილა პალაცკის ღვაწლი პროფესორმა ტომეკმა. ამის შემდეგ ფარდა აჰხადეს პალაცკის ძეგლს და ხალხი დიდის ტაშის ცემით მიეგება, ხოლო „გლაგოლის" საზოგადოება—გალობით. სიტყვები წარმოსთქვეს: ვენის აკადემიკოსმა სატჩიმ—კრაკოვისამ სმოლკამ, ზაგრებისამ—სმიჩიგლასმა, უნივერსიტეტთა პროფესორებმა: პეტერბურგისამ—ლამანსკიმ, მოსკოვისამ—ბრანდტმა, კიევისამ—ფლორინსკიმ, ვარშავისამ—გროტმა და ლვოვისამ—დემბიჩინსკიმ. ყველანი ადიდებდნენ პალაცკის, მისს სამეცნიერო და აღმადგენელს მოღვაწეობას. როდესაც ქალაქ პეტერბურგის რუსი დეპუტატი ვ. ვ. კომაროვი წამოდგა ხელში დაფნის გვირგვინით. ხანგრძლივი ტაშის კვრა გაისმა. კომაროვმა წარმოსთქვა მოკლე, მაგრამ ძლიერი სიტყვა და განაცხადა, რომ „დიდებული რუსეთი პატივსა სცემს პალაცკის ხსენებას, რომელიც იღვწოდა არა მარტოოდენ ჩეხისა, არამედ მთელის სლავიანობისათვის. პეტერბურგს ახსოვს პალაცკის იქ ყოფნა და ჰგზავნის მისის ძეგლ ქვეშ დასადებად თავისის მხრივ გვირგვინს. ეს გვირგვინიმცა იყოს კავშირი რუსთა და ჩეხთა გულისა და მანმცა აღამაღლოს ხსენება ამა დიდებულისა და ჩინებულთა შორის უჩინებულესის ჩეხისა!" კომაროვმა ძეგლის ძირს დასდო დიდი ვერცხლის დაფნის ფოთლებიანი გვირგვინი: გაისმა კვლავ ხანგრძლივი, აღტაცებული ტაშის ცემა. ბევრს ცრემლი მოერია. წაიკითხეს დეპეშები. ორს საათზედ სადილი იყო გამართული სოფიის კუნძულზედ. სადილს 600-მდე სული დაესწრო. მუსიკა სულ სლავიანურ თხზულებათ უკრავდა, სხვათა შორის დაუკრა გლინკას „Жизнь за царя"-დგანაც ერთი ადგილი. მრავალი სიტყვა წარმოითქვა სადილის დროსაც.

◆ ◆

---

*) გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების აღმწერელი და მისივე თანამედროვე შესანიშნავი მწერალი (XI საუკ.), რომელმა თვისი ვინაობა, ჩვენდა სამწუხაროდ, არ გამოაცხადა.

მ. ჯ.

Дозволено цензурою, Тифлисъ 8-го Iюня 1898 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.